


მიღება-ჩაბარების
აქტი


ქ.ლაგოდეხი

06.01.2016 წ.

აქტი შედგენილია მასზე, რომ შ.პ.ს. „სახწორი“ ს დირექტორს გურგენ აბრამიშვილს (შემდგომში „მიმწოდებელი“) და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელს კარლო ჯამბურიას (შემდგომში „შემსყიდველი“) შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული N192 ხელშეკრულების შესაბამისად „მიმწოდებელმა“ ჩააბარა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო: სოფ.თამარიანის საბავშვო ბაღის ხარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 14056,59 /ოთხმეტიათას ორმოცდათექვსმეტი ლარი და ორმოცდაცხრამეტი თეთრი/ ლარს.

საფუძველი: შ.პ.ს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატი“-ს 2015 წლის 29 დეკემბრის N15/083 დასკვნის

ჩააბარა:
შ.პ.ს. „სახწორი“ ს
დირექტორი:  გურგენი აბრამიშვილი



მიიღო:
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
გამგებელი:  კარლო ჯამბურია



1435,28


ინსპექტირების ჯგუფის

დასკვნა


06.01.2016 წ.

ჩვენს ქვემოთ ხელის მომწერებმა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფის წევრებმა: ვალერი ხუციშვილმა ინსპექტირების ჯგუფის უფროსი, ზედამხედველობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტებმა: შალვა გოგოლაძემ და დავით მერმანიშვილმა შევადგინეთ დასკვნა მასზედ, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის კარლო ჯამბურიას სახით /შემდგომში „შემსყიდველი“/ და მეორეს მხრივ შ.პ.ს „სასწორი“-ს დირექტორს გურგენი აბრამიშვილს „შემდგომში „კომწოდებელი“/ შორის 2015 წლის 29 ივლისს გაფორმებული N192 ხელშეკრულების თანახმად, სოფ.თამარიანის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ წარმოდგენილია შესრულებული სამუშაოების ფორმა N2 რომლის ღირებულება შეადგენს 14352.87 ლარს.

დაუკავდეს ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-7.3 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-14.2 პუნქტის თანახმად, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 %, რაც 6 დღეზე შეადგენს 86,11 ოთხმოცდაექვსი ლარი და თერთმეტი თეთრი / ლარს.

1.  /ვალერი ხუციშვილი/

2.  შალვა გოგოლაძე

3.  /დავით მერმანიშვილი/



შპს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატა“

CEA

სამქსპერტო დასკვნა

№15/083

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კავშირის, სოფელ
ცოდნისკარის, სოფელ გურგენიანის, სოფელ თამარიანის
საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციოდ შესრულებული
სამუშაოების ექსპერტიზა

დამკვეთი:

შპს „სასწორი“

თბილისი

2015



ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2015 წ.

№15/083

ჩვენ, შპს „საქართველოს ექსპერტიზისა და აუდიტის ეროვნული პალატა“-ს ექსპერტები: თამაზ შავიძე (უფროსი ექსპერტი, ინჟინერი, ეკონომისტი, დოქტორი, სერთიფიკატი №CE-016-12), ნოდარ კიკილაშვილი (პალატის წარმომადგენელი, ეკონომისტი) ვადასტურებთ, რომ გაგეაჩნია საკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია და გამოცდილება საექსპერტო სამუშაოების შესასრულებლად.

საექსპერტო სამუშაოების ჩატარება დაიწყო 2015 წლის 26 დეკემბერს და დასრულდა 2015 წლის 29 დეკემბერს.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი: შპს „სასწორი“-ს წერილი №56 14.12.2015 წ.

ობიექტი: ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი კავშირის, სოფელი ცოდნისკარის, სოფელი გურგენიანის, სოფელი თამარიანის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია.

მისამართი: საქართველო, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფელი კავშირი, სოფელი ცოდნისკარი, სოფელი გურგენიანი, სოფელი თამარიანი.

ექსპერტიზის წინაშე დასმული ამოცანა: რეალურად შესრულებული საბავშვო ბაღების სარეაბილიტაციო სამუშაოების მოცულობების, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობა და ხარისხის განსაზღვრა.

კვლევა: აღნიშნულ ობიექტზე, სარეაბილიტაციო სამუშაოებს აწარმოებდა შპს „სასწორი“, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი იქნა სათანადო დოკუმენტაცია და შესრულებული სამუშაოები. ექსპერტების მიერ ჩატარდა დოკუმენტაციის გაცნობა, ობიექტების დათვალიერება-შემოწმება, საკონტროლო აზომვები, რომელსაც ვსწრებოდა საამშენებლო ფირმის წარმომადგენელი.

სოფელ კაეშირის ბაგა-ბადის ნაწილობრივ სარებილიტაციოდ, ჩატარდა ხის ფანჯრის და კარის ბლოკების დემონტაჟი, იატაკიდან მეტლახის, კედლებიდან კაფელის ფილების აყრა, იატაკების ქვეშ ბეტონის და გრუნტის ამოღება, ბეტონის კედლების გახერცვა მილსადენების გასატარებლად, მომზადებულ თხრილში შიგა კანალიზაციის ქსელის მოწყობა პლასტმასის მილებით, გრუნტის უკუმიერთ, ბეტონის მომზადებაზე ცემენტის მოჭიმვის მოწყობა, მეტალოპლასტმასის ფანჯრის და კარის ბლოკების ჩაყენება, კარ-ფანჯრის დამრეცების შეღესვა ცემენტის ხსნარით, ფანჯრის რაფების ჩაყენება, ძველი ამორტიზირებული ჩამრთველების, შტეფსელების, გამანაწილებელი კოლოფების დემონტაჟი, კედლებში და ჭერში ფარული ელ. გაყვანილობის მონტაჟი გამანაწილებელი და ელ. მოწყობილობის კოლოფების დაყენებით, ელ. ჩამრთველების, შტეფსელების, დახურული სანათების დამონტაჟება, წყალსადენის მილებისთვის კედლებში ღარების ამოტეხვა, გახერცვა, ცივი და ცხელი წყლის პლასტმასის მილსადენების მონტაჟი, კაფელანაყრელი კედლების მაღალხარისხოვანი შეღესვა ცემენტის ხსნარით, შენობაშო ცალკეულ ადგილებში დაზიანებული ადგილების ჩამონგრევა და მაღალხარისხოვანი შეღესვა გაჯით, კორიდორში და სამზარეულოში იატაკების მოწყობა მეტლახის ფილებით, კედლების მოპირკეთება კერამიკული ფილებით, პლასტიკატის ჭერების მოწყობა, ხელსაბანის, ჭურჭლის სარეცხელის მონტაჟი, კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით.

დაშლილი კედლის ადგილის გასუფთავება ნანგრევებისაგან, საძირკვლების ჰორიზონტალური ჰიდროიზოლაცია, კედლის აღდგენა ორ ეტაპად.

აირგამაცხელებლის დამონტაჟება კედელზე, არსებული საპაერო ელ. გადამცემა ხაზის საყრდენიდან ელ. სადენის მოწყობა, თვითმზიდი ელ. სადენით, შენობაში გამანაწილებელი პანელის (ავტომატური გამთიშველებით) დამონტაჟება და მკვება ელ. სადენთან მიერთება.

გარე კანალიზაციის და წყალსადენის ქსელის, საკანალიზაციო ჭების, მოწყობა პლასტმასის მილებით, ბეტონის წვრილი ბელოკით, თუჯის სარქველით, სახურავზე ცალკეული დაზიანებული შიფერების შეცვლა ახლით, ცალკეულ ადგილებში მთლიანი რიგის მოხსნა გადაწყობით.

სოფელ ცოდნისკარის საბავშვო ბადის რეაბილიტაციისათვის დემონტაჟი გაეკეთდა დაზიანებულ აზბესტოცემენტის ფურცლებს, ხის ლარტყას, ხის ფანჯრებს, კარებს, იატაკს, ფანერას დერეფანში. სამზარეულოში მოიხსნა დაზიანებული მეტლახის, კერამიკის ფილები, კედლებიდან ნაღესი.

სახურავის დაზიანებული აზვებსტოცემენტის ფურცლები ნაწილობრივ შეიცვალა ახლით, სამერცხლური დაიხურა თუნუქის ფურცლით, ამოშენდა კარის ღიობი ჯგუფში ფასადის მხარეს, ფანჯრის ღიობი დარბაზში, შეიღესა ამოშენებული ღიობები შიგნიდან გაჯით, გარედან ცემენტის ხსნარით, მოეწყო დერეფნის ჭერზე ფანერის ფილები.

შიგა ელ. გაყვანილობის სადენების, ჩამრთველების, შტეფსელების, ვაზნების, ბრების მონტაჟი. მოეწყო შიგა წყალმომარაგების მიღგყვანილობა პლასტმასის მილებით, დამონტაჟდა ჭურჭლის სარეცხელი, წყლის გამათბობელი, მოეწყო შიგა საკანალიზაციო ქსელი პლასტმასის მილებით, ჭერზე პლასტიკატის ფილები სამზარეულოში და ტუალეტში, მეტლახის ფილები სამზარეულოში, დარბაზის ფოიეში და ნაწილობრივ დარბაზში, სამზარეულოში კედელზე კვრამიკული ფილები, მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები სამზარეულოში, დარბაზში, დარბაზის ფოიეში. დამონტაჟდა სამზარეულოში მეტალოპლასტმასის კარების ბლოკი, დარბაზში „მდფ“-ს კარები, ლამინირებული იატაკის მოწყობა დარბაზში, გამგის კაბინეტში, მედპუნქტში, შეკეთდა ხის დაზიანებული კარების ბლოკი ნაწილობრივ.

შეიღება ჭერი, შიდა კედლები წყალემულსიის საღებავით: გასახდელი, მედპუნქტი, ხის კარი, ხის ფანჯრის ბლოკები ზეთვანი საღებავით.

აიწყო ინვენტარული ხარაჩო, ფასადის დაზიანებული ნაწილის მოხსნა, ზედაპირების დაგრუნტვა დეკორატიული ცემენტის ხსნარით, შეიღება წინა ფასადი მაღალხარისხოვანი პიდრომედეგი წყალემულსიის კოლორით.

სოფელ ზ. გურგენიანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის მოიხსნა ხის იატაკები, ხის კარის, ხის ფანჯრის ბლოკები. ხის ტიხრები სამზარეულოში, საკუჭნაოში. ფასადიდან და შიგა კედლებიდან მოიხსნა დაზიანებული (შებერილი) ნაღესი, ბეტონის კიბის დაზიანებული ადგილები.

მოეწყო თაბაშირ-მუყაოს ტიხარი სამზარეულოში და საკუჭნაოში, ამოშენდა კარის და ფანჯრის ღიობის მცირე გაბარიტიანი ბლოკით, სამზარეულოს და ტუალეტის ჭერზე მოეწყო არსებული პლასტიკატის ფილები, ასევე სხვა ჭერზე თაბაშირ-მუყაოს ფილები, ბეტონის იატაკისთვის საყრდენი საფუძვლის მოწყობა ქვ. ხრეშოვანი ნარევით, შემდგომ ბეტონის იატაკის მოჭიმვით, მეტლახის ფილებით. ჯგუფში და საძინებელში, არსებული იატაკის ფიცრით მოეწყო ხის იატაკი, ზეთოვანი საღებავის შეღებვით, მოეწყო ლამინირებული იატაკი არსებული ლამინატით, კედელზე კვრამიკული ფილები, არსებული კაფელით,

შეიღესა შიგა კედლები და ფანჯრის, კარებების დამრეცები გაჯით, გარედან ცემენტის ხსნარით.

დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკი, არსებულთ, „მდფ“-ს კარის ბლოკი არსებულთ, მეტალოპლასტმასის კარის ბლოკი.

შეიღება ჭერი, კედლები წყალემულსიის საღებავით, დამონტაჟდა შიგა ელ. გაყვანილობა, წყალმიმარაგების სისტემა პლასტმასის მილებით.

გაითხარა გრუნტი სასმელი წყლსი მაგისტრალის მოსაწეობად, მოეწყო წყალსადენის სისტემა პლასტმასის მილებით, სარეგულაციო ჭით, სარეგულაციო ენტილით. მოხდა გრუნტის უკუმიყრა ხელით.

დამონტაჟდა ჭურჭლის სარეცხელი, უნიტაზი, ხელსაბანი, საკანლიზაციო შიგა ქსელი, პლასტმასის მილებით. ეზოში მოეწყო ამოსაწმენდი საკანალიზაციო ორმო, თუჯის ხუფით, მოეწყო კიბის საფეხურებზე, ბაქანზე ბეტონის ფილები არსებულთ, პირველ სართულზე არსებული კარისა და ფანჯრის ღიობები ამოშენდა ბლოკით, აიწყო ინვენტარული ხარაჩო, ფასადის კედლის ზედაპირების დაგრუნტვა დეკორატიული ცემენტის ხსნარით, შეღებვა ჰიდრომედვეგი კოლორით.

სოფელ თამარიანში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის, მოიხსნა დაზიანებული ხის ფანჯრის და კარის ბლოკები, სამზარეულოში „ტრაპის“ მოსაწეობად, მოინგრა ბეტონის იატაკი, მონგრეული ნაწილის ზემოდან დაბეტონებით. ამოშენდა ფანჯრის ღიობი ტუალეტში, მცირე გაბარიტიანი ბლოკით შემდგომი შეღესვით. დამონტაჟდა შიგა ელ. გაყვანილობის სადენი, ჩამრთველები, შტეფსელები, ვაზნები, ბრები. ამოშენდა გაშეოფი ტიხარი შემდგომი გაღესვით. მოეწყო მეტლახის ფილები, კერამიკული ფილები ტუალეტში, ასევე წყალგაყვანილობის და კანალიზაციის შიგა ქსელი, პლასტმასის მილებით, დამონტაჟდა უნიტაზი, პატარა უნიტაზი, ხელსაბანი. მოეწყო გარე ქსელი საკანალიზაციო პლასტმასის მილებით, შემკრები კვანძით.

დამონტაჟდა მეტალოპლასტმასის ფანჯარა, რაფა, ფრამუგა ტუალეტში, სამზარეულოში, დამცავი ბადით. შეკეთდა ხის დაზიანებული კარის ბლოკი, შეიღება ზეთოვანი საღებავით. არსებულ საკანალიზაციო სისტემა (ჭები, ქსელი) გასუფთავდა გამკვრივებული ფეკალური მასისაგან. სამზარეულოში და ტუალეტში შეიღება ჭერი და კედლები წყალემულსიის საღებავით.

კ23 „მდფ“-ის კარის მონტაჟი 1 ცალი“ - „მდფ“-ის ნაცვლად ჩაყენებულია მეტალოპლასტმასის კარები.

შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენის მიზნით, ჩატარებული იქნა აზომებითი სამუშაოები. ხილული სამუშაოები აოზმილი იქნა ფაქტიური მდგომარეობით, სხვა სამუშაოები ჩათვლილი იქნა, როგორც ტექნოლოგიურად აუცილებელი. დადგინდა, რომ შესრულებული სამუშაოების მოცულობების ოდენობა და ხარისხი, შეესაბამება საპროექტო-სახარჯთადრიცხეო დოკუმენტაციებით დამტკიცებულ მოცულობებსა და ხარისხს.

ექსპერტიზის დასკვნა: შპს „სასწორი“-ს მიერ, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაეშირის, სოფელ ცოდნისკარის, სოფელ ზ. გურგენიანის, სოფელ თამარიანის საბავშვო ბაღების სარეზილიტაციოდ შესრულებული, ფორმა №2-ით წარმოდგენილი სამუშაოები, შეესაბამება ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებს, აკმაყოფილებს მასზე წაყენებულ მოთხოვნებს და შეადგენს $19009.00+28297.40+32990.00+14352.87=94649.27$ ლარს.

კვლევისათვის გამოყენებული მასალები: ექსპერტიზის დამკვეთის მიერ წარმოდგენილი, ობიექტის მოწყობისათვის შედგენილი ხარჯთადრიცხვა, საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოების შესრულების აქტი ფორმა №2, ფარული სამუშაოების აქტები, ფოტომასალა.

კვლევისათვის გამოყენებული ლიტერატურა, ნორმატივები:

1. საქართველოს ეროვნულ სტანდარტად დარეგისტრირებული საამშენებლო ნორმები და წესები.
2. საამშენებლო რესურსების ფასები.

უფროსი ექსპერტი:



/თ. შავიძე/

პალატის წარმომადგენელი:

/ბ. კიკილაშვილი/